



ქალაქ
თელავის
ცენტრალური მოედნის
განაშენიანების
რეგულირების
პეგმა





ქალაქი თელავი იმ ისტორიული ქალაქების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით, მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით, თვითმყოფადი არქიტექტურითა და შუა საუკუნეების ურბანული სტრუქტურით, გამორჩეულ, ძალზედ მრავალფეროვან, სახასიათო კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

თელავის მუზეუმ უბანი - ისტორიულ-კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრი



თელავის
მუზეუმ
უბანი

Telavi
Urban
Museum
Quarter

ქ. თელავის ტერიტორიის ზოგადი დახასიათება და ისტორიულ-კულტურული კვლევა

ქალაქი თელავი იმ ისტორიული ქალაქების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით, მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით, თვითმყოფადი არქიტექტურითა და შუა საუკუნეების ურბანული სტრუქტურით, გამორჩეულ, ძალზედ მრავალფეროვან, სახასიათო კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ქალაქის ტერიტორიაზე დასახლების არსებობის უწყვეტი კვალი გვიან ბრინჯაოს ხანიდან იწყება და დღემდე გრძელდება. პერიოდული წყვეტით ქალაქი ჯერ ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, შემდგომ კი XVIII და XIX საუკუნეებში მნიშვნელოვნად განვითარდა, უმთავრესი ცვლილება და ზრდა XX საუკუნეში - საბჭოთა პერიოდში განიცადა.

დღეს თელავი კახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია. ქალაქის ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია მასთან მიმდებარე სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებთან ურთიერთობასა და ღვინის პროდუქციაზე, იქ არსებულ უნივერსიტეტსა და მცირე წარმოებებზე, ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილ ტურისტულ აქტივობაზე.

თელავს უპირველესად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ციხე-სიმაგრეთა სიმრავლე გამოარჩევდა. ვ. ბერიძეს ის სხვა ქართული ქალაქებისაგან გასხვავებულ, პრინციპულად ყველაზე უფრო ფეოდალურ ქალაქად მიაჩნია. ამ თავისებურებას საერთო გალავნით შემოუზღუდავი ქალაქის ტერიტორიაზე გაშლილ დაბალ განაშენიანებაში ჩართული, ბორცვებზე განლაგებული სამეფო და ფეოდალთა ციხე-სიმაგრეების მაღალი გალავნის კედლები, აქ განთავსებული ეკლესიებისა და ბურჯების მსხვილი მოცულობები და მათი დომინანტური სილუეტები ქმნიდა.

ციხეთა დაზიანების გამო მათი დომინანტური როლი დღეს ნაწილობრივ წაშლილია, საჭიროა ისტორიული განაშენიანების არეალების სწორი ქალაქგეგმარებითი განვითარება.

ქ. თელავის ისტორიული ბირთვის განაშენიანება

თელავში დიდი რაოდენობითაა მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეული საცხოვრებელი სახლები, თუმცა XIX ს-ის საარქივო ფოტოებთან შედარებისას თვალსაჩინოა მეტად სერიოზული დანაკარგები.

აღინიშნა, მნიშვნელოვანი ცვლილება თელავის განაშენიანებამ უკვე XX საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში განიცადა, როდესაც მის ისტორიულ ბირთვში დაიგეგმა და განხორციელდა ერეკლე II-ს სახელობის გამზირი, მასზე დატანილი მსხვილი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაგებობათა ნაწილს აქვს ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება და ე.წ. „სტალინური სტილის“ დამახასიათებელ ნიმუშებს წარმოადგენს, მთლიანობაში გამზირის განაშენიანების მასშტაბი და ხასიათი კონტრასტული აღმოჩნდა ფეოდალური ქალაქის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ იერსახისა და, რაც მთავარია, ამ ქმედებას შეეწირა ძველი თელავის მეტად სახასიათო განაშენიანების ფრაგმენტები.

თელავის ისტორიულ ცენტრში მასშტაბის ზრდა შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა და 1970-იან წლებში ერეკლე II-ს მოედანზე, ბატონის ციხის მოპირდაპირედ შეიქმნა თელიანი უსახური საცხოვრებელი კორპუსი აშენდა, ხოლო მის გვერდით, მოედნის ბაღის ფარგლებში, თელავის დრამატული თეატრის მოდერნისტული ნაგებობა გაჩნდა (ავტორი - არქ. გ. ჯაბუა). ამასთან, თეატრის შენობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მეტ-ნაკლებად ეწერება თელავის ისტორიულ განაშენიანებაში მასშტაბითა და ფასადების ბუნებრივი ქვით მოპირკეთებით.

თელავის ისტორიულ განაშენიანებას მოედნების სიმცირე ახასიათებს. მათ შორის გამოიყვანება ერეკლე II-ს მოედანი, რომელიც თავის დროზე შეიქმნა როგორც ასპარეზი (პლაცი) ისტორიული ციხის სიახლოვეს. სამწუხაროდ, სწორედ ამ მოედანმა განიცადა აქტიური ცვლილებები უკანასკნელ პერიოდში, რაც გამოიხატა თელავის დრამატული თეატრის შენობის ექსტერიერზე აგრესიული, თანამედროვე რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მიშენებაში (ამჟამად მოხსნილია) და ფასადების მოსაპირკეთებელი მასალის სახეცვლით ქვიდან უსახურ ნაღეს ფაქტურამდე.

მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში თეატრის ისტორიული შენობის ნაცვლად გაჩნდა ასევე თანამედროვე იუსტიციის სახლი, რომლის არქიტექტურული ხასიათი ზედმეტად კონტრასტულია ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებით.

ისტორიული ცენტრის ექსპანსია დღემდე გრძელდება, რისი მაგალითიცაა ყოფილი „გუბერნატორის სახლის“ ე.წ. „რეაბილიტაცია“ მასში სასტუმრო „ძველი თელავის“ განთავსების მიზნით.

ასევე სასტუმროს ორი ახალი კორპუსის მშენებლობა. ამ ქმედებების შედეგად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის განაშენიანების მასშტაბი მკვეთრად დაირღვა.



ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განვითარების პოტენციალი

„ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის“ ტურიზმის კომპონენტი მიზნად ისახავს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების წარმატებული ტენდენციების გათვალისწინებას და ისტორიულ ურბანულ გარემოში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. როგორც ერთიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი, იგი ითვალისწინებს ქალაქის განვითარების პროცესში ეკონომიკური და სოციალური საჭიროების გააზრებას და ტურიზმს განიხილავს, როგორც რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ ინსტრუმენტს მდგრადი განვითარებისათვის.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ქალაქების კულტურული მემკვიდრეობის ზონაში ტურიზმის განვითარებისას გასათვალისწინებელია სამი ძირითადი პრინციპი:

- ბალანსი კონსერვაცია/რესტავრაციასა და ზომიერ ადაპტაციას შორის;
- შემზღუდავი რეგულაციებისა და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება, როგორც ურბანული გარემოს „ინტეგრირებული კონსერვაციის“ წინაპირობა;
- საჯარო, სახელმწიფო და კერძო სექტორის ინტერესების ბალანსი და თანამონაწილეობა ქალაქის განვითარებისათვის.

ისტორიული ქალაქების და ურბანული ცენტრების განვითარების გეგმარებითი დოკუმენტის მომზადება ეფუძნება ტურიზმის ეკონომიკური ინდიკატორების მაჩვენებლებს და მათი ცვლილებების ასახვას სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში. შედეგად, მზადდება თემატური რუკები, სადაც ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, საჯარო სივრცეები, ისტორიული უბნები, ცალკეული მათგანის ტურისტული მიმზიდველობა, ტურისტული სერვის-ობიექტები, მათი კავშირები და ტურისტული ბილიკები, ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით ჩამოყალიბებული ტურისტული ღერძული მარშრუტები, რაოდენობრივი მახასიათებლები და ამის საფუძველზე ყალიბდება განვითარების ინტეგრირებული ხედვა.

ქალაქ თელავი და მისი ისტორიული ცენტრი წარმოადგენს კვლევის ძირითად ობიექტს. ქალაქისა და მისი ისტორიული ცენტრის ტურისტული განვითარების კვლევის საფუძველს წარმოადგენს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების გააზრება და მომავლის ერთიანი ხედვა. თელავის ტურისტული განვითარების პერსპექტივის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში.

ტურიზმი და კახეთის რეგიონული განვითარება

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქსტატის ანგარიშების გათვალისწინებით, ცხადია, რომ კახეთის რეგიონი გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის ეკონომიკაში, რაც დასტურდება ვიზიტორთა და ტურისტული კომპანიების გამოკითხვებით და პირდაპირი ინვესტიციების ზრდით რეგიონში.

თანამედროვე ტურიზმის უმნიშვნელოვანეს მიმზიდველობას წარმოადგენს მოგზაურობის დროს მიღებული განუმეორებელი შთაბეჭდილება. სწორედ ამიტომ კახეთი იდენტიფიცირებულია საქართველოს უმნიშვნელოვანეს ფენომენებთან, როგორცაა:

- „ღვინის სამშობლო“, UNESCO-ს მიერ აღიარებული მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის - „ქვევრის ღვინის“ სამშობლოდ;

- კავკასიის მთიანეთი განუმეორებელი თუშეთით: აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმთიანი მხარე, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შუასაუკუნოვანი არქიტექტურა და ბუნებასთან თანაცხოვრების ჰარმონიული მაგალითები;

- უძველესი არქეოლოგიური მონაპოვრები, ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები და სამონასტრო ცხოვრების ცოცხალი ტრადიცია;

- ეროვნულ პარკებში დაცული განსაკუთრებული ლანდშაფტები და უნიკალური ბიომრავალფეროვნება (ლაგოდეხის, თუშეთის, ვამლოვნის ეროვნული პარკები);

საბოლოო ჯამში, კახეთი ხასიათდება სამი მთავარი ტურისტული მიმზიდველობის ფაქტორით:


- ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა და მისი შემეცნება;
- განუმეორებელი ბუნება და სათავგადასავლო მოგზაურობა;
- ღვინო და სტუმარმასპინძლობის ტრადიცია

დღევანდელ სამყაროში ტურიზმი მაღალი კონკურენციის სფეროს მიეკუთვნება. შესაბამისად, ტურისტული შეთავაზების წარმატებულ ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბება საჭიროებს შესაბამის ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, ლოჯისტიკას, სატრანსპორტო კომუნიკაციას, უსაფრთხოებასა და სასიამოვნო საცხოვრებელ გარემოს, კონკურენტულ ფასებს და, რაც მთავარია, მომსახურების სფეროს პერსონალის უნარ-ჩვევებს.

ამ მხრივ, რეგიონში ტურისტული თვალსაზრისით დღეისათვის ჩამოყალიბებულია რამდენიმე ურბანული კვანძი - თელავი, ყვარელი, სიღნაღი, ახმეტა. ამ კვანძების ირგვლივ აქტიურად ვითარდება მცირე სოფლები, მარნებისა და სასტუმროთა ქსელები და რეკრეაციული სივრცეები (მაგალითად: თელავის ირგვლივ - სოფლები ვარდისუბანი, იყალთო, წინანდალი; ყვარელის ირგვლივ - ილიას ტბა, ყვარლის ტბა, ლოპოტა; სიღნაღის ირგვლივ - სოფლები ნუკრიანი, ქედელი, ანაგა, ბოდბეს ისტორიულ-კულტურული კომპლექსი). ეს პოზიტიური და ბუნებრივი ტენდენციაა.

მუნიციპალიტეტის ტურისტული კვანძი:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში შემოსულ ტურისტთა თითქმის 82% სახმელეთო საზღვრის გადაკვეთით შემოსული მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი), ქალაქი თელავი განიხილება როგორც კახეთის მთავარი ტურისტული მიმზიდველობის მქონე ცენტრი, საიდანაც წარმატებით შეიძლება განხორციელდეს მოგზაურობები კახეთსა და მთლიანად საქართველოში წლის ნებისმიერი დროს



კახეთსა და მთლიანად საქართველოში წლის ნებისმიერი დროს.

ქალაქს დღეისათვის აქვს სამი მთავარი შესასვლელი: აღმოსავლეთი - ვარდისუბანი-გომბორი-იყალთოს მხრიდან, წინანდალი-კისისხევის მხრიდან და ალაზანი-ყვარლის მხრიდან. ტურისტული თვალსაზრისით, ურბანული განვითარება დაიწყება ვარდისუბნის მხრიდან. ამ უბანზე ქალაქის მუნიციპალური საზღვრების მიღმა შუამთისკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე არსებული მიმზიდველი ტერიტორია კერძო საცხოვრებელი და ტურისტული ბიზნეს ობიექტების განაშენებისათვის.

ტურიზმის როლი თელავის მუნიციპალიტეტის განვითარებაში

ქალაქი თელავი და მუნიციპალიტეტი, როგორც კახეთის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ცენტრი, რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის ცენტრალურ როლს თამაშობს. კახეთის რეგიონისთვის ტურისტული მიმზიდველობის ობიექტები (წინანდალი, შუამთა, იყალთო, ალავერდი, ყვარელი, სიღნაღი, სხვა) ერთობლიობაში ქმნის პოპულარულ ტურისტულ მარშრუტებს, რომლებიც იკვეთება ე. წ. ტურისტულ კვანძებში („tourism hub“). ამ მარშრუტების/ნაკადების განვითარების გათვალისწინებით, თელავის მუნიციპალიტეტი ჩამოყალიბებულია, როგორც ცენტრალური „კვანძი“, სადაც არსებობს აუცილებელი ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი, საჯარო სივრცე, სავაჭრო და გასართობი ცენტრი, ბანკები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში შემოსულ ტურისტთა თითქმის 82% სახმელეთო საზღვრის გადაკვეთით შემოსული მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი), ქალაქი თელავი განიხილება როგორც კახეთის მთავარი ტურისტული მიმზიდველობის მქონე ცენტრი, საიდანაც წარმატებით შეიძლება განხორციელდეს მოგზაურობები კახეთსა და მთლიანად საქართველოში წლის ნებისმიერი დროს. ქალაქს დღეისათვის აქვს სამი მთავარი შესასვლელი: აღმოსავლეთი - ვარდისუბანი-გომბორი-იყალთოს მხრიდან, წინანდალი-კისისხევის მხრიდან და ალაზანი-ყვარლის მხრიდან. ტურისტული თვალსაზრისით, ურბანული განვითარება დაიწყება ვარდისუბნის მხრიდან. ამ უბანზე ქალაქის მუნიციპალური საზღვრების მიღმა შუამთისკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე არსებული მიმზიდველი ტერიტორია კერძო საცხოვრებელი და ტურისტული ბიზნეს ობიექტების განაშენებისათვის.

სივრცით-ტერიტორიული დოკუმენტაციის მომზადებისას უნდა შეფასდეს რეგიონში სატრანსპორტო მაგისტრალებისა და კვანძების გამტარუნარიანობა; გათვალისწინებული იქნას მოსალოდნელი მოთხოვნა ტურისტთა განთავსების ადგილებზე (რაც დღევანდელი მონაცემებით საკმარისი არ არის), განისაზღვროს მათი განლაგების არეალები (ქალაქის პერიფერია); ტურისტული მიმზიდველობის ადგილების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია იქ „ვიზიტორების ტევადობა“; უნდა შეფასდეს სატრანსპორტო საშუალებების ფუნქციონირების აუცილებლობა და ეკონომიკური რენტაბელობა (საზოგადოებრივი ავტო ტრანსპორტი, რკინიგზა, აეროპორტი) და სხვა.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ტურისტული ვიზიტით ჩამოსული ვიზიტორი ერთხელ მაინც სტუმრობს თელავის მუნიციპალიტეტს. 2017 წლის მონაცემებით, 24 საათზე მეტი ხნით (ტურისტული ვიზიტი) ჩამოსული ტურისტების რაოდენობა 4.1 მილ. ვიზიტია. ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, 2022 წლისათვის მოსალოდნელია ამ რიცხვის გაორმაგება - 7.5 მილ ვიზიტი. (წყარო: Galt & Taggart, Tourism research May 2018).

შესაბამისად, მოსალოდნელია თელავში ვიზიტორთა რიცხვის გაორმაგება, ხოლო განთავსების ადგილების ზრდის გათვალისწინებით ღამისთევების რიცხვის მნიშვნელოვნად გაიზრდება: 300,000 ღამისთევიდან - 600,000 ღამისთევამდე.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ ქალაქმა თელავმა შეძლოს განავითაროს თავისი ლოჯისტიკური ფუნქციები: სატრანსპორტო კვანძები - (განსაკუთრებით ქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ შესასვლელებში), სასტუმრო/განთავსების ცენტრი (საჭიროა არსებული შენობების გარდაქმნა მცირე საოჯახო სასტუმროებად და თავსებადი მასშტაბის ახალი ნაგებობების შექმნა),

ტურისტული ზონები:

ხანმოკლე (3-5 წელი) პერსპექტივაში, ქალაქის პერიმეტრში ბუნებრივად გამოიკვეთება ტურიზმის „მაღალი კონცენტრაციის“ ზონები. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაღალი ტურისტული აქტივობის ზონები (ტურიზმის მაღალი სიმკვრივე) ჩამოყალიბდება ისტორიულ არეალებში, სადაც აუცილებელია შესაბამისი საჯარო სივრცის უზრუნველყოფა.

თელავი - „ქალაქი 7 ბორცვზე“ და განვითარების ხედვა:

შვიდი ბორცვი, რომელზეც განლაგებულია ქალაქის ისტორიული ნაწილი, ქმნის მომავალი ტურისტული განვითარების ჩარჩო-კონცეფციას. ისტორიულ კონტექსტში ქალაქი ამ ბორცვებით გარშემორტყმული ვითარდებოდა. შესაბამისად, მის მიმართ ინტერესის გაღვივებისათვის აუცილებელია ამ უნიკალური ფაქტორის გამოყენება. თითოეული ბორცვი, როგორც ერთიანი სამკაულის ცალკეული რგოლი, უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველობის კერა თავისი განუმეორებელი ფუნქციურ-ისტორიული სახით და ამით შეიქმნას ქალაქის შემაკავშირებელი ერთიანი ტურისტული ბილიკი. ბორცვების ირგვლივ ბუნებრივად განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყობა საჯარო სივრცეები, დაცული იქნება იქ არსებული ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლები და რეკრეაციული სივრცეები.

ამ კონცეფციის მიხედვით, შესწავლილი იქნება „თელავის ისტორიული ბილიკის“ ცალკეული უბნის მოწყობის კონცეფტუალური პროექტი, შესაბამისი ტურისტული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხედვის, არქიტექტურული გადაწყვეტებისა და ურბანული რეგულაციების გათვალისწინებით.

შედეგად, შვიდი ბორცვი გაერთიანდება ერთ ტურისტულ სარტყელში, ჰარმონიულად დაუკავშირდება ბატონის ციხეს და თეატრის მოედანს და შექმნის ტურისტული ობიექტების ერთიან განფენილობას ისტორიული ქალაქის პერიმეტრზე.

„ბატონის ციხე“, მუზეუმი და ბატონის სასახლე:

კახეთის რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბატონის სასახლისა და „ბატონის ციხის“ რეაბილიტაციის პროექტი. ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე მუზეუმი საგამოფენო სივრცით. ამ მშენებლობის დასრულებით ქალაქ თელავში შეიქმნა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მიზიდულობის კერა, რომელსაც შეუძლია უმასპინძლოს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებს, გამოფენებს, კორპორაციულ ღონისძიებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს. ბატონის სასახლეს უნდა მიენიჭოს მნიშვნელოვანი საპრეზენტაციო და საიმპიჯო ფუნქცია.

ცენტრალური მოედანი:

თელავის ცენტრალური მოედანი წარმოადგენს ღერძული (მთავარი) სატრანსპორტო და ტურისტული მარშრუტების გადაკვეთის ადგილს. ცენტრალური მოედნის არეალი განისაზღვრება ბატონის ციხით, თეატრით, პარკით და სკვერებით, ტენისის კორტებით და მიმდებარე ისტორიული ნაგებობებით. ცენტრალური მოედანი უმნიშვნელოვანესი ადგილია ქალაქის ტურისტული იერსახისათვის და ჩამოყალიბებულია როგორც აუცილებელი მონახულების ობიექტი. შემდგომი განვითარების პერსპექტივით მნიშვნელოვანია, რომ ეს ტერიტორია იქცეს საფეხმავლო მოედნად

განხორციელდეს ინვესტიციები ისტორიული ცენტრის პერიმეტრს გარეთ ახალი საშუალო (მაქსიმუმ 40 ოთახი) და მცირე ზომის (15-20 ოთახი) სასტუმროების მშენებლობისათვის. ქალაქის ისტორიული ცენტრის მიღმა, პერიფერიებზე (ქალაქის შესასვლელებში) ვითარდება რესტორნები და საკვები ობიექტები, სავაჭრო და გასართობი ობიექტები, უნდა მოწესრიგდეს ქალაქის ცენტრში არსებული სავაჭრო სივრცეები (არსებული ბაზარი უნდა კეთილმოეწყოს), სასურველია, აღდგეს ტრადიციული აგრარული ტიპის ეთნოგრაფიული ელემენტების მქონე ბაზარი.

მსგავსი ლოჯისტიკური ფუნქციების გარდა, ქალაქ თელავს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოკვეთილი იდენტობა (ანუ „ბრენდ იმიჯი“). ამისთვის ქალაქის დაგეგმარების პროცესში აუცილებელია გამოიკვეთოს ცალკეული შენობები/არეალები, სადაც განსაკუთრებით „სახიერად“ იქნება წარმოდგენილი ქალაქის მთავარი დამახასიათებელი ფენომენები:

1). **კულტურული ცენტრი**- „მუსიკალური ფესტივალებისა და სამხატვრო გამოფენების ქალაქი“. მიზანშეწონილია, რომ გამოყენებული იქნას – „ბატონის ციხე და ციხე-გალავნის რეაბილიტირებული ტერიტორია, ახალი მუზეუმი და ბატონის ისტორიული სასახლით; ასევე განვითარდეს საფეხმავლო ცენტრი - ბატონისციხესა და ქალაქის თეატრის შენობის წინ არსებული ტერიტორია.

2). **ახალგაზრდული ქალაქი** - საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო და სახელოვნებო სასწავლებლებით, საგამოფენო სივრცეებითა და მომავალი „ტექნოპარკით“. ამ მიზნით, როგორც ახალი ტექნოლოგიური სივრცე, შესაძლებელია გამოყენებული იქნას თელავის ყოფილი აეროპორტის ტერიტორია. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია თვით აეროპორტის აღდგენა, როგორც სატრანსპორტო, ტურისტულ (მცირე ავიაცია და ვერტმფრენები), ისე სასწავლო აეროპორტად (სასწავლო ფრენებიმართვის უფლებისათვის).

3). **„ძველი ქალაქი“** - თელავი, 7 ბორცვზე განთავსებული ისტორიული ქალაქი, რომლის პერიმეტრსაც შეკრავს რეკრეაციულ ზონასთან დაკავშირებული ტურისტული მარშრუტები/ქალაქის საფეხმავლო ბილიკები. რენტაბელობა (საზოგადოებრივი ავტო ტრანსპორტი, რკინიგზა, აეროპორტი) და სხვა.

2.9.9. ქ.თელავი და მისი ისტორიული ცენტრის ტურისტული განვითარება

თელავის თითოეულ უბანს აქვს სახელი, იდენტობა, არქიტექტურული სახე და დამახასიათებელი ისტორიული წარსული. შემორჩენილია ქალაქური ცხოვრების მომხიბლავი სტილი და ურბანული ქსოვილი. 2010-2012 წლებში განხორციელდა ცალკეული ისტორიული უბნებისა და ქუჩების, პარკების, ბატონის ციხის, სასახლისა და ეკლესიების აღდგენა. შემდგომი კვლევისა და კონსერვაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარების ობიექტები უნდა იყოს უძველესი ხანის არქეოლოგიური ფენები (ძველი გალავნის ფრაგმენტები, საკულტო ნაგებობები და სხვა), დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ისტორიული ბორცვების ტერიტორია და განისაზღვროს მათი ფუნქციური დანიშნულება (განისაზღვროს არქიტექტურული თუ სხვა ტიპოლოგიური ჯგუფების ძეგლები, მათი ტერიტორიები და დამცავი ზონები, მოეწყოს რეკრეაციული სივრცეები, განისაზღვროს ტურისტული/ურბანული საჭიროებები და მუნიციპალური სერვისების უზრუნველყოფის ღონისძიებები, კეთილმოეწყოს მისასვლელები (შიდა გზები, ბილიკები, ხიდები) და განისაზღვროს მიმდებარე ტერიტორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გრგ-ს დაგეგმვის მიზანი და ამოცანები

გრგ-ს დამუშავების მთავარი მიზანია ქ.თელავის ცენტრალური მოედნის გარშემო არსებული მონოფუნქციური შენობებისა და დანაწევრებული სარეკრეაციო-საზოგადოებრივი სივრცების მულტიფუნქციური დანიშნულებით გარდაქმნა და განვითარება „მუზეუმ უბნის“ (როგორც ისტორიულ-კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრი) სახელწოდების ქვეშ. მოედანი უნდა გარდაიქმნას უპირატესად საფეხმავლო, საზოგადოებრივ-სარეკრეაციო სივრცედ. აქედან გამომდინარე, პროექტში წარმოდგენილია გრგ-ს საზღვრებზე უფრო დიდი ტერიტორიის განვითარების კონცეფცია, იგი მოიცავს გრგ-ს ჩრდილოეთით - ცენტრალური მოედნის, ერეკლე II-ის სასახლეს და მის მიმდებარე ტერიტორიას, ასევე ერეკლე II-ის ქუჩის დიდ ნაწილს. მთელი ეს არეალი უნდა გარდაიქმნას ძირითადად საფეხმავლო ზონად, აუცილებელი სატრანსპორტო კავშირების დატოვებით. ასევე პროექტის მიზანია, თელავის ცენტრალური ნაწილი გახდეს მიმზიდველი არამხოლოდ დღის საათებში ხანმოკლე ექსკურსიებითვის, არამედ მთელი დღის და სხვადასხვა სეზონის განმავლობაშიც.

პროექტის აღწერა

არსებული მდგომარეობით ერეკლე II-ის ქუჩას აქვს მაგისტრალური გზის ფუნქცია, მოძრაობა ორმხრივია 2-2 ზოლით და ორივე მხარეს პარალელური პარკირებით, სავალი ნაწილის სიგანეა 16მ, ხოლო მთლიანი ქუჩის - 23,5მ, ცენტრალური მოედანი კი წარმოადგენს სატრანსპორტო კვანძს წრიული მოძრაობით. სასახლის სამხრეთით არსებული ტერიტორია მოიცავს გამწვანების და მოკირწყლული მოედნის სივრცეს და გზას ავტოსადგომებით, ფუნქციურად ამ სივრცის გამოყენება ვერ ხერხდება ოპტიმალურად: არც სკვერი ფუნქციონირებს თავისი დანიშნულებით, ფაქტიურად გამოუყენებელი სივრცეა და სატრანსპორტო კუთხითაც პრობლემებია პიკის საათებში. დღევანდელი მდგომარეობით ერეკლე II-ის ქუჩა და ცენტრალური მოედანი ერთმანეთისგან ჰყოფს ცენტრში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და სხვადასხვა დანიშნულების სივრცეებს, საჭიროა ამ სივრცეები გაერთიანება, საფეხმავლო კავშირების გააქტიურება და მთელი არეალის გადაქცევა ერთიან კულტურულ-შემეცნებით, დასასვენებელ ცენტრად.

წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, ერეკლე II-ის ქუჩა უნდა გადაიქცეს ქუჩა-ბულვარად, გზა დავიწროვდება და საავტომობილო მოძრაობისთვის დარჩება თითო ზოლი, რაც სატრანსპორტო ნაკადების შეფასების კუთხით მისაღებია და ქუჩის გადატვირთვას არ გამოიწვევს, ამის შედეგად გაიზარდება ტროტუარის-საფეხმავლო ზონის სიგანე, შესაძლებელი გახდება საზოგადოებრივი ფუნქციით მისი სრულყოფილად გამოყენება. მოედანს აღარ ექნება სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია, იგი გადაიქცევა საფეხმავლო/საზოგადოებრივი დანიშნულების ცენტრალურ მოედნად, საფეხმავლო ქუჩად გადაკეთდება ასევე ნადიკვრის ქუჩის მონაკვეთი. საპროექტო წინადადება მოიცავს ერეკლე II-ის სასახლის სამხრეთით არსებული

სივრცის მცირე გადაგეგმარებასაც: არსებული გზა გაფართოვდება და პიკის საათებში შეუფერხებელი მოძრაობისთვის შუაში მოეწყობა გამყოფი გამწვანებული ზოლი; სასახლის გალავანთან არსებული გამწვანება შენარჩუნდება, ხოლო მოკირწყლულ, დღევანდელი მდგომარეობით გამოუყენებელი ტერიტორიაზე მოეწყობა ე.წ. „მოცეკვავე შადრევანი“, რაც ზაფხულის ცხელ დღეებში მიმზიდველი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც.

ცენტრალური ნაწილის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გადაგეგმარების შედეგად ტერიტორიაზე იქნება 230-მდე ღია ავტოსადგომი, არსებული მდგომარეობით 250 ავტოსადგომია.

ერეკლე II-ის ქუჩისა და ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის წარმოდგენილი კონცეფციის განხორციელების შედეგად მთელი არეალი გადაიქცევა ერთიან საზოგადოებრივ სივრცედ, მოედანი გახდება ე.წ. „სამუზეუმო კვარტლის“ ცენტრი, მასზე დანიშნულებიდან, საჭიროებიდან, ღონისძიებიდან გამომდინარე, წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლებელია მოეწყოს განსხვავებული ინსტალაციები. ტერიტორიას შესაძლებელია დაემატოს რამდენიმე მუზეუმი, მაგალითად არქეოლოგიური, რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე, ღვინის მუზეუმიც სადეგუსტაციო დარბაზით, საგამოფენო სივრცეები, პავილიონები. არსებული თეატრის შენობაში დამატებით შეიძლება მოეწყოს კინოთეატრის დარბაზები, სახურავზე კი- რესტორანი.

არსებული მდგომარეობით გამოუყენებელი და უფუნქციოა ცენტრალურ მოედანთან არსებული შიდა საცხოვრებელი ეზოები. მოედნის გარშემო უნდა გაკეთდეს დამატებით საფეხმავლო ზონა-ბილიკები, რომლებიც გააერთიანებს ამ შიდა ეზოებს, სახლების მეპატრონეებს კი საშუალებას მისცემს რამდენიმე ფუნქციით განავითარონ საკუთარსაცხოვრებელი ფართები და ეზოები: სახლების პირველ სართულებზე შეიძლება მოეწყოს პატარა კაფეები, რესტორნები, მაღაზიები, ხოლო ზედა სართულებზე - სასტუმრო ოთახები და საცხოვრებელი. ეს მიმართულება მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ლამაზი ეზოები, რომელთა რეაბილიტაცია და მოწესრიგება ძალიან რთულია დამატებითი ფუნქციების შემენისა და მათი კომერციულად გამოყენების შესაძლებლობების გარეშე.

რეკონსტრუქციას საჭიროებს ასევე თეატრთან არსებული სკვერი, რომელიც დღეს ფაქტიურად გამოუყენებელი სივრცეა.

სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი

გრგ-ს არეალი ფუნქციური განვითარებიდან გამომდინარე დაყოფილია 6 სექტორად.

სექტორი #1 მოიცავს თეატრის და მის დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთებს. ამ სექტორში ძირითადად გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის განვითარება და სატრანსპორტო ზონა 1-ის შიდა გზისთვის. გრგ-ს პროექტით გათვალისწინებულია 26 მაისის ქუჩის გასწვრივ არსებული რამდენიმე შენობის დემონტაჟი, ნაკვეთების გაერთიანება და ახალი, ქალაქგეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი თვალსაზრისით გამართული შენობის დაგეგმარება.

სექტორი #2 მოიცავს არსებული კორტების ტერიტორიას, რომელიც განვითარდება სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით. ნაკვეთზე მონიშნულია ახალი შენობების განთავსების არეალი, შესაძლებელია დაგეგმარდეს სასტუმრო და დამხმარე შენობა-ნაგებობები.

სექტორი #3 მოიცავს არსებული სკვერის, თეატრის სამხრეთით მდებარე ქორეოგრაფიული სასწავლებლისა და სპორტული მოედნის ტერიტორიას. დღევანდელი მდგომარეობით მთელი ეს ტერიტორია არის გამოუყენებელი და უფუნქციო, სკვერის ტერიტორიაზე არის შეუსაბამო მიწის ნაკვეთები შეუსაბამო შენობებით, თეატრის გარშემო არსებული მთელი სივრცე ფუნქციურად დანაწევრებულია და არ არსებობს გამართული საფეხმავლო კავშირები. გრგ-ს პროექტით გათვალისწინებულია უშუალოდ სკვერის სივრცეში შემოჭრილი შენობების დემონტაჟი, სპორტული მოედნის გადატანა და ასევე ქორეოგრაფიული სასწავლებლის შენობის დემონტაჟიც, ეს ტერიტორია შეუერთდება სკვერს და აქ შესაძლებელია დაგეგმარდეს თანამედროვე, საპარკო სივრცეში ორგანულად ინტეგრირებული პავილიონები და შენობები, სადაც განთავსდება არამხოლოდ ქორეოგრაფიული სასწავლებელი, არამედ საგამოფენო და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეებიც. გრგ-ს პროექტით გათვალისწინებულია როგორც განივი - 26 მაისისა და ელ. ახვლედიანის ქუჩის დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა, ასევე გრძივი კავშირიც - ცენტრალური მოედნიდან ახვლედიანი 1 ჩიხის მიმართულებით. არსებული სკვერის ტერიტორიას დაედება სარეკრეაციო ზონა 1, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა დეკორატიული გაფორმების ობიექტებისა კეთილმოწყობის, ხოლო სამხრეთ ნაწილს - სარეკრეაციო ზონა 3.

სექტორი #4 მოიცავს ძირითადად არსებული საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთებს. არის მნიშვნელოვანი ხარვეზები რეგისტრაციებში: შენობების და მიწის ნაკვეთის საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს, შენობების ნაწილი განთავსებულია დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და ა.შ. გრგ-ს პროექტით მოცემულია მიწის ნაკვეთების გამიჯვნის სარეკომენდაციო გეგმა, მომავალში მათი სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას აღნიშნული მოთხოვნები და გრგ-თი დადგენილი ქალაქმშენებლობითი პარამეტრები.


სექტორი #5 მოიცავს იუსტიციის სახლის და მის ჩრდილოეთით არსებული შენობის ნაკვეთებს. ქ. თელავის გენგეგმის პროექტით გათვალისწინებულია იუსტიციის სახლის გადატანა და შენობა ძირითადად დაეთმო სამუზეუმო ფუნქციას. ამ ორი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები ასევე დასაკორექტირებელია და მოცემულია გრგ-ს მიწის ნაკვეთების გამიჯვნის გეგმაზე.

სექტორი #6 მოიცავს გრგ-ს საზღვრებში შემავალი ქ. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიის ნაწილს: მოედანს და გზებს. აღნიშნულ არეალზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1.

გადამეტებული პარამეტრები და შენობათა განთავსების განსხვავებული წესი
გრგ-ს პროექტით გარკვეულ მიწის ნაკვეთებზე დაშვებულია გადამეტებული პარამეტრები და შენობების განთავსების განსხვავებული წესი, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ცენტრს არსებული განაშენიანებით და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით.

გრგ-ს არეალის სივრცით-ტერიტორიული განვითარების დეტალური რეგლამენტი

ნაკვეთის #	სექტორის #	ფართობი	ფუნქციური ზონა	კ-1	კ-2	კ-3	შენობის მაქს. სიმაღლე/სართული ანობა
1	1	1740	სსზ-3	0,7	2,5	0,1	15მ/4სართ.
2		600	სსზ-3	0,7	2,2	0,3	15მ/4სართ.
3		979	სსზ-3	0,7	2,2	0,3	15მ/4სართ.
4		625	სსზ-3	0,7	2,2	0,3	15მ/4სართ.
5		385	სსზ-3	0,7	2,2	0,3	15მ/4სართ.
6		5690	სსზ-3	0,9	2,2	0	15მ/4სართ.
7		1491	ტზ-1	—	—	—	—
8		314	სსზ-3	0,7	2,2	0,2	15მ/4სართ.
9		2480	სსზ-3	0,7	2,2	0,3	15მ/4სართ.
10		2	10147	რზ-3	0,5	1	0,2
11	3	5310	რზ-1	—	—	—	—
12		4808	რზ-3	0,5	1,0	0,5	12მ/3სართ.
13	4	1475	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
14		355	ტზ-1	—	—	—	—
15		1167	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
16		311	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
17		340	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
18		404	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
19		376	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
20		441	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
21		600	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
22		754	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
23		876	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
24		100	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
25		436	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
26		986	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
27		773	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
28		450	სსზ-1	0,8	1,8	0,1	12მ/3სართ.
29		810	სსზ-1	0,6	1,8	0,3	12მ/3სართ.
30	5	1373	სსზ-3	0,7	2,2	0,1	15მ/4სართ.
31		530	სსზ-3	0,7	2,2	0,1	15მ/4სართ.
32	6	2912	ტზ-1	—	—	—	—
მუნიციპალური ტერიტორია		9749	ტზ-1	—	—	—	—



ტრანზიტი



რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი




ტურისტული კლასტერი




რეგიონის ისტორიულ-კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრი



აგრიკულტურული ცენტრი





ისტორიული თელავი - „ქალაქი 7 ბორცვზე“


განვითარების ხედვა:

შვიდი ბორცვი, რომელზეც განლაგებულია ქალაქის ისტორიული ნაწილი, ქმნის მომავალი ტურისტული განვითარების ჩარჩო-კონცეფციას. ისტორიულად ქალაქი ამ ბორცვებზე ვითარდებოდა. თითოეული ბორცვი, როგორც ერთიანი სამკაულის ცალკეული რგოლი, უნდა ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველობის კერა თავისი განუმეორებელი ფუნქციურ-ისტორიული სახით და ამით შეიქმნას ქალაქის შემაკავშირებელი ერთიანი ტურისტული ბილიკი. ბორცვების ირგვლივ ბუნებრივად განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყობა საჯარო სივრცეები, დაცული იქნება იქ არსებული ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლები და რეკრეაციული სივრცეები.


შედეგად, შვიდი ბორცვის გაერთიანდება ერთ ტურისტულ სარტყელში, ჰარმონიულად დაუკავშირდება ბატონის ციხეს და თეატრის მოედანს და შექმნის ტურისტული ობიექტების ერთიან განფენილობას ისტორიული ქალაქის პერიმეტრზე.

7 ბორცვი

- 1** ისტორიული ბორცვი „ზუზუმბოს გორა“, გვიანბრინჯაოს პერიოდი, საპარკო-სარეკრეაციო სივრცე, არქეოლოგიური ობიექტებით.
- 2** ისტორიული ბორცვი „დაბახნები“, IX-X საუკ. არქეოლოგიური ზონა, რეკრეაცია, საგანმანათლებლო, შემეცნებითი ფუნქციებით
- 3** ისტორიული ბორცვი „ძველი გაღავანი“, IX საუკ. „ყაღორის ბაღი“, საკულტო-სარეკრეაციო სივრცე, გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით.
- 4** ისტორიული ბორცვი „ღვთაების ბორცვი“, VI საუკ. საკულტო ზონა, ქუჩათა ქსელით, მათზე გამომავალი სახელოსნოებით, სავაჭრო რიგებით
- 5** ცენტრალური მოედანი ისტორიული ბორცვი „ბატონის ციხე“, XVIII საუკ. ისტორიულ-კულტურული, სამუზეუმო, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ საქმიანი ცენტრი
- 6** ისტორიული ბორცვი „ფიქრის გორა“, XIX საუკ. ისტორიულ-კულტურული ძეგლების კონცენტრაციით.
- 7** ისტორიული ბორცვი „გიგოს გორა“, საპარკო-სარეკრეაციო, მემორიალური




- არხი
- ველობილიკი
- საზღვარი
- გზები



1/13 გრგ-ს საკვლევე არეალი
არსებული სიტუაციის ფოტო

- საკვლევე/კონცეფტუალური განვითარების არეალი
- გრგ-ს არეალი



1/14 გრგ-ს საკვლევე არეალი
არსებული სიტუაციის ფოტო


----- საკვლევე/კონცეფტუალური განვითარების არეალი

----- გრგ-ს არეალი

1/15

გრგ-ს საკვლევო არეალი


ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და არსებული ფოტოები



1/16

გრგ-ს საკვლევო არეალი

ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და არსებული ფოტოები



1/17


გრგ-ს საკვლევო არეალი

ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და არსებული ფოტოები



1/18

გრგ-ს საკვლევია არეალი
ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე
ტერიტორიის ისტორიული და არსებული
ფოტოები



1/19

გრგ-ს საკვლევო არეალი

ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და არსებული ფოტოები




1/20

გრგ-ს საკვლევო არეალი
ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე
ტერიტორიის ისტორიული და არსებული
ფოტოები



1/21


გრგ-ს საკვლევო არეალი
ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე
ტერიტორიის ისტორიული და არსებული
ფოტოები



1/22

გრგ-ს საკვლევო არეალი

ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და არსებული ფოტოები





1/23 გრგ-ს საკვლევო არეალი
აეროფოტოგადაღება გრგ-ს და საკვლევო/კონცეფტუალური განვითარების არეალით

--- საკვლევო/კონცეფტუალური განვითარების არეალი - 13,84ჰა

--- გრგ-ს არეალი - 6,25 ჰა

მუზეუმი & გალერეა
ბანკი



- შერეული ფუნქციები მიწისპირა სართულზე
- ფოკუსი ღამის აქტივობებზე
- მუზეუმი & გალერეა

მუზეუმი & საზოგადოებრივი სივრცე
მუზეუმი



- ღია სივრცე
- ფოკუსი ღამის აქტივობებზე
- მუზეუმი & გალერეა

მუზეუმი
იუსტიციის სახლი





- შერეული ფუნქციები მიწისპირა სართულზე
- ფოკუსი ღამის აქტივობებზე
- მუზეუმი & გალერეა

კინო & თეატრი & რესტორანი
თეატრი



- შერეული ფუნქციები მიწისპირა სართულზე
- ფოკუსი ღამის აქტივობებზე
- მუზეუმი & გალერეა






1/25 გრგ-ს საკვლევი არეალი.


საკვლევი არეალში არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება

- | | | |
|--|---|---|
| ● საცხოვრებელი შენობები | ● მუზეუმი | ● კულტურული მემკვიდრეობა/ერეკლე II-ის სასახლე |
| ● შერეული ფუნქციის შენობები | ● სპორტული შენობა/ნაგებობა | ● კომერციული შენობა/ბანკი |
| ● საგანმანათლებლო შენობები | ● სასტუმრო | --- საკვლევი არეალი |
| ● თეატრი | ● იუსტიციის სახლი | --- გრგ-ს არეალი |



1/26 გრგ-ს საკვლევი არეალი
 საკვლევ არეალში არსებული/დაგეგმილი შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება

- | | | |
|--|---|---|
| ● საცხოვრებელი შენობები | ● მუზეუმი | ● კულტურული მემკვიდრეობა/ერეკლე II-ის სასახლე |
| ● შერეული ფუნქციის შენობები | ● სპორტული შენობა/ნაგებობა | ● კომერციული შენობა/ბანკი |
| ● საგანმანათლებლო შენობები | ● სასტუმრო | - - - საკვლევი არეალი |
| ● თეატრი, კინოთეატრი | ▨ საფეხმავლო, სარეკრეაციო სივრცე | - - - გრგ-ს არეალი |



■	საცხოვრებელი	☰	→	☰	☰	☰	☰	საცხოვრებელი / შერეული ფუნქცია / კაფე & რესტორანი / სასტუმრო	■ 22:00
22:00 ■	შერეული ფუნქცია	☰	→	☰	☰	☰	☰	შერეული ფუნქცია / გალერეა / კაფე & რესტორანი / სასტუმრო	■ 23:00
20:00 ■	საგანმანათლებლო	☰	→	☰	☰	☰	☰	საგანმანათლებლო	■ 20:00
20:00 ■	თეატრი	☰	→	☰	☰	☰	☰	თეატრი / კინო / კაფე & რესტორანი	■ 00:00
20:00 ■	მუზეუმი	☰	→	☰	☰	☰	☰	მუზეუმი / გალერეა / კაფე & რესტორანი	■ 23:00
20:00 ■	სპორტული სივრცე	☰	→	☰	☰	☰	☰	პარკი / სპორტული სივრცე	■ 20:00
■	სასტუმრო	☰	→	☰	☰	☰	☰	სასტუმრო	■
18:00 ■	იუსტიციის სახლი	☰	→	☰	☰	☰	☰	მუზეუმი / გალერეა / კაფე & რესტორანი	■ 00:00
20:00 ■	ერეკლე II-ს სასახლე	☰	→	☰	☰	☰	☰	ერეკლე II-ს სასახლე / გალერეა / კაფე & რესტორანი	■ 23:00
18:00 ■	ბანკი	☰	→	☰	☰	☰	☰	გალერეა / კაფე & რესტორანი	■ 23:00
■	პარკინგი	☰	→	☰	☰	☰	☰	ცენტრალური მოედანი / გალერეა / კაფე & რესტორანი	■ 00:00
								გალერეა / პავილიონი	■ 23:00

გრგ-ს საკვლევ არეალი

საკვლევ არეალში არსებული
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

საკვლევ არეალში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოიცავს ერეკლე II-ის (რომელსაც აქვს მაგისტრალური გზის ფუნქცია) და რამდენიმე შიგასაუბნო ქუჩას. ერეკლე II-ის ქუჩაზე მოძრაობა ორმხრივია 2-2 ზოლით და ორივე მხარეს პარალელური პარკირებით, სავალი ნაწილის სიგანეა 16მ, ხოლო მთლიანი ქუჩის - 23,5მ. არსებულ სკვერსა და ერეკლე II-ის სასახლის შორის მდებარე მოედანი წარმოადგენს სატრანსპორტო კვანძს წრიული მოძრაობით. სასახლის სამხრეთით არსებული ტერიტორია მოიცავს გამწვანების და მოკირწყლული მოედნის სივრცეს და გზას ავტოსადგომებით, ფუნქციურად ვერც ერთი სივრცის გამოყენება ვერ ხერხდება ოპტიმალურად: არც სკვერი ფუნქციონირებს თავისი დანიშნულებით, ფაქტიურად გამოუყენებელი სივრცეა და სატრანსპორტო კუთხითაც პრობლემებია. საერთო ჯამში საკვლევ არეალში არის დაახლოებით 250 ავტოსადგომი. დღევანდელი მდგომარეობით ერეკლე II-ის ქუჩა და ცენტრალური მოედანი ერთმანეთისგან ჰყოფს ცენტრში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და სხვადასხვა დანიშნულების სივრცეებს, საჭიროა ამ სივრცეები გაერთიანება, საფეხმავლო კავშირების გააქტიურება და მთელი არეალის გადაქცევა ერთიან კულტურულ-შემეცნებით, დასასვენებელ ცენტრად.



ერეკლე II-ის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია არსებული მდგომარეობით



გრგ-ს საკვლევ არეალი

საკვლევ არეალში არსებული/საპროექტო სატრანსპორტო კავშირების სქემები




არსებული;

- ავტომობილზე ორიენტირებული ცენტრალური მოედანი
- დანაწევრებული მწვანე და რეკრეაციული სივრცეები.
- მონოფუნქციური შენობები
- ფუნქციებს შორის გართულებული საფეხმავლო კავშირები



1. მწვანე სივრცეების შევსება, ერთიანი რეკრეაციული სივრცის განვითარება

2. საფეხმავლო და ველობილიკების განვითარება.



3. ქალაქის ისტორიულ ნაწილში, ავტომობილზე ორიენტირებული ცენტრიდან ქვეითზე ორიენტირებულ ცენტრზე გარდაქმნა,

4. ცენტრის მონოფუნქციურიდან მულტიფუნქციურზე გარდაქმნა, ფუნქციებს შორის ურთიერთავშორების გაძლიერება, საფეხმავლო და ველოკავშირების განვითარება.

გრგ-ს საკვლევ არეალი


საკვლევ არეალში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო წინადადება

ქ. თელავის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის კონცეფციის მთავარი მიზანია მის გარშემო არსებული ფუნქციების განვითარების ხელშეწყობა.

მონოფუნქციური შენობებისა და ტერიტორიების მულტიფუნქციურად გარდაქმნა. ერეკლე II-ის ქუჩის გადაქცევა საზოგადოებრივ ქუჩა-ბულვარად. აღნიშნული გზაზე შესაძლებელია დარჩეს თითო სამომარო ზოლი და გაიზარდოს ტროტუარის სიგანე, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ფუნქციით მის სრულყოფილად გამოყენებას. მოედანს აღარ ექნება სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია, იგი გადაიქცევა საფეხმავლო/საზოგადოებრივი დანიშნულების ცენტრალურ მოედნად, საფეხმავლო ქუჩად გადაკეთდება ასევე ნადიკვრის ქუჩის მონაკვეთი. საპროექტო წინადადება მოიცავს ერეკლე II-ის სასახლის სამხრეთით არსებული სივრცის მცირე გადაგეგმარებასაც: არსებული გზა გაფართოვდება და პიკის საათებში შეუფერხებელი მოძრაობისთვის შუაში მოეწყობა გამყოფი გამწვანებული ზოლი; სასახლის გალავანთან არსებული გამწვანება შენარჩუნდება, ხოლო მოკირჩყულ, დღევანდელი მდგომარეობით გამოუყენებელი ტერიტორიაზე მოეწყობა ე.წ. „მოცეკვავე შადრევანი“, რაც ზაფხულის ცხელ დღეებში მიმზიდველი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც. ცენტრალური ნაწილის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გადაგეგმარების შედეგად ტერიტორიაზე იქნება 230-მდე ღია ავტოსადგომი, არსებული მდგომარეობით 250 ავტოსადგომია.



ერეკლე II-ის ქუჩის საპროექტო წინადადების ანალოგი




გრგ-ს საკვლევია არეალი

ერეკლე II -ის ქუჩის რეაბილიტაციის წინადადება




არსებული მდგომარეობით ერეკლე II-ის ქუჩას აქვს მაგისტრალური გზის ფუნქცია, მოძრაობა ორმხრივია 2-2 ზოლით და ორივე მხარეს პარალელური პარკირებით, სავალი ნაწილის სიგანეა 16მ, ხოლო მთლიანი ქუჩის - 23,5მ. არსებული მდგომარეობით ტროტუარების სიგანე 3,5მ-4მ-ია, რაც მხოლოდ საფეხმავლო ფუნქციისთვის განიერია, ხოლო საზოგადოებრივი ფუნქციით გამოყენებისთვის - ვიწრო. საპროექტო წინადადება გულისხმობს ერეკლე II-ის ქუჩის გადაკეთებას ადგილობრივი მნიშვნელობის გზად, სავალი ნაწილის დავიწროებას და ტრანსპორტისთვის თითო სამომრეო ზოლის დატოვებას, ტროტუარის სიგანე სამხრეთ მხარეს გაიზრდება 8მ-მდე და შესაძლებელი იქნება მისი საზოგადოებრივი ფუნქციით სრულყოფილად გამოყენება, ტროტუარის სივრცე დაიყოფა შემდეგ ზონებად: საზოგადოებრივი - კაფეები, მაღაზიები და ა.შ; საფეხმავლო და საველოსიპედო ბილივი.


ერეკლე II-ის ქუჩის არსებული ჭრილი



ერეკლე II-ის ქუჩის საპროექტო ჭრილი



ერეკლე II-ის ქუჩის არსებული მდგომარეობის ანალოგი




ერეკლე II-ის ქუჩის საპროექტო წინადადების ანალოგი



გრგ-ს საკვლევია არეალი

ერეკლე II -ის სასახლის სამხრეთ მხარეს მდებარე მოედნის რეაბილიტაციის წინადადება




არსებული მდგომარეობით ერეკლე II-ის სასახლის სამხრეთით არსებული ტერიტორია მოიცავს გამწვანების და მოკირწყლული მოედნის სივრცეს და გზას ავტოსადგომებით. ფუნქციურად ვერც ერთი სივრცის გამოყენება ვერ ხერხდება ოპტიმალურად. სკვერი ვერ ფუნქციონირებს თავისი დანიშნულებით და წარმოადგენს გამოუყენებელ სივრცეს. სატრანსპორტო კუთხითაც დილით და საღამოს, პიკის საათებში მოძრაობა გართულებულია.


საპროექტო წინადადება გულისხმობს მთლიანი სივრცის რაციონალურად და ოპტიმალურად გამოყენებას:


1. არსებული სკვერის ადგილზე თანამედროვე წყლის სარკის, ფანტანის მოწყობა რომელიც იქნება არა მხოლოდ სანახაობრივი, დეკორატიული, არამედ ინტერაქტიულიც, ექნება პრაქტიკული დანიშნულება, საფხულის ცხელ დღეებში გახდება აქტიური საზოგადოებრივი სივრცე, ბავშვებისთვის, ახლაგაზრდებისთვის, ერთგვარი გამაგრებელი საშუალებაც.
2. ავეჯი, საავტომობილო გზის მცირედით გაფართოვებას და გამყოფი ხაზის დამატებას, ასევე პარკირების ადგილების მოწესრიგებას.

ერეკლე II-ის სასახლის დასავლეთით არსებული მოედნის ჭრილი (დღევანდელი მდგომარეობა)



ერეკლე II-ის სასახლის დასავლეთით არსებული მოედნის ჭრილი (საპროექტო წინადადება)





ცენტრალური მოედანი არა როგორც ბარიერი არამედ კავშირი მის გარშემო მდებარე კულტურულ, საზოგადოებრივ-საქმიან, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო სივრცეებთან

ბანკის ნაცვლად შესაძლოა შენობა მომავალში განვითარდეს სამუზეუმო/საგალერიო ფუნქციით

თეატრის სარდაფის სართულების სამუზეუმო/საგამოფენო ფუნქციით დატვირთვა. შესაძლოა კინოთეატრის განვითარება

სამხატვრო სკოლა

მუსიკალური სკოლა

ტენისის კორტები

საჯარო ბიბლიოთეკა

I საშუალო სკოლა

ქორეოგრაფიული სკოლა

არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

არსებული სპორტული მოედნი შესაძლოა გადავიდეს ტენისის კორტების მიმდებარეთ, (სადაც სპორტული ინფრასტრუქტურაა განვითარებული), ხოლო მის ადგილას აშენდეს ახალი პავილიონის ტიპის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, სადაც ასევე, შესაძლოა განთავსდეს არსებული ქორეოგრაფიული სკოლა.


იუსტიციის სახლის ნაცვლად შესაძლოა შენობა მომავალში განვითარდეს როგორც მულტიფუნქციური, ახალგაზრდული ცენტრი,

ტექნოპარკი

1/33 გრგ-ს საკვლევი არეალი

ცენტრალური მოედნის განვითარების ძირითადი მიმართულება - სამუზეუმო უბანი

ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განვითარების მთავარი მიზანია მის გარშემო არსებული სხვადასხვა ფუნქციისა და დანიშნულების სივრცეების/შენობების მულტიფუნქციური განვითარება ურთიერთკავშირების გაძლიერება, ამავდროულად სამუზეუმო უბნის -როგორც ისტორიული კულტურული, საგანმანათლებლო კლასტერის მიმართულებით განვითარება. ასევე მეოედნის გარდაქმნა უპირატესად საფეხმავლო, საზოგადოებრივ-სარეკრეაციო სივრცედ.




1/34 გრგ-ს საკვლევო არეალი
ცენტრალური მოედნის განვითარების 3D მოდელირება



1/35 გრ-ს საკვლევი არეალი
ცენტრალური მოედნი - როგორც მულტიფუნქციური, ტრანსფორმირებადი სივრცე. ანალოგები


ცენტრალური მოედანი წარმოდგენილი იქნება როგორც ტრანსფორმირებადი საზოგადოებრივი სივრცე, მასზე დანიშნულებიდან, საჭიროებიდან, ღონისძიებიდან გამომდინარე, წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლებელია მოეწყოს განსხვავებული ინსტალაციები.



1/36 გრგ-ს საკვლევი არეალი
 ცენტრალური მოედნი -შენობებისა და სივრცეების ტრანსფორმაცია- მულტიფუნქციური განვითარება. ანალოგები

ტერიტორიაზე შესაძლებელია განვითარდეს არქეოლოგიური მუზეუმი და სივრცეები, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს შესაძლებელია არქეოლოგიური ობიექტების აღმოჩენა, საჭირო იქნება მათი დაცვა და ჰარმონიული ინტეგრირება გარემოსთან.

არქეოლოგიური მუზეუმისა და სივრცეების განვითარებასთან ერთად კონცეფციით გათვალისწინებულია ბავშვებისთვის დამატებით არქეოლოგიურ-შემეცნებითი აქტივობების გაჩენაც.



1/37 გრგ-ს საკვლევი არეალი
ცენტრალური მოედნი -შენობებისა და სივრცეების ტრანსფორმაცია- მულტიფუნქციური განვითარება. ანალოგები

შენობებს რომლებსაც გააჩნიათ აუთვისებელი სივრცეები შესაძლებელია განვითარდეს საგამონეფო, საგალერეო სივრცეების მიმართულებით, ხოლო შენობების სარდაფების ათვისება განვითარება ასევე შესაძლებელია ღვინის მარნებისა და სადეგუსტაციო დარბაზების მიმართულებით.



1/38

გრგ-ს საკვლევი არეალი

გრგ-ს არეალში შემავალი კერძო შიდა ეზოების და შენობების განვითარების წინადადება

ცენტრალურ მოედანთან არსებული შიდა საცხოვრებელი ეზოები დღევანდელი მდგომარეობით არის უფუნქციო, განუვითარებელი და ჩახერგილი. ცენტრის განვითარების კონცეფციის მიზანია ცენტრალური მოედნის გარშემო არსებული უძრავი ქონების მფლობელებს მისცემს საშუალება რამდენიმე ფუნქციით განავითარონ საკუთარი საცხოვრებელი ფართები და ეზოები: სახლების პირველ სართულებზე შეიძლება მოეწყოს პატარა კაფეები, რესტორნები, მაღაზიები, ზედა სართულებზე - სასტუმრო ოთახები და საცხოვრებელი, ხოლო ტერიტორიებზე სადაც გვხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე უნდა მიეცეს განვითარების საშუალება თუმცაღა შენარჩუნებულ უნდა იქნას როგორც ძეგლის ასევე მისი ეზოს სახასიათო სტრუქტურა.



1/39 გრგ-ს საკვლევო არეალი
გრგ-ს და საკვლევო/კონცეფტუალური განვითარების არეალის ტოპოგადაღება

--- საკვლევო/კონცეფტუალური განვითარების არეალი - 13,84ჰა

--- გრგ-ს არეალი - 6,25 ჰა



1/40 სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი
 გრგ-ს არეალში არსებული წყალსადენის და წყალარინების ქსელის გეგმა

..... გრგ-ს საზღვარი

▨ არსებული შენობა

--- წყალარინების ქსელი

—•—•— ნაკვეთების გამიჯვნის საპროექტო საზღვარი

▭ საპროექტო შენობის პირობითი კონტური

~~~~~ სექტორის საზღვარი

--- წყალსადენის ქსელი





**1/41** სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი  
 გრგ-ს არეალში არსებული ელექტროობის ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა

..... გრგ-ს საზღვარი

▨ არსებული შენობა


- - - ელექტრომომარაგების ლოკალური ქსელი

—•—•— ნაკვეთების გამიჯვნის საპროექტო საზღვარი










□ საპროექტო შენობის პირობითი კონტური


~~~~~ სექტორის საზღვარი

+++++ ელექტრომომარაგების ძირითადი ქსელი



1/42 სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი
 საკვლევ არეალში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემები


- | | | | | | |
|---|---|---|--------------------------------------|---|---------------------|
|  | საკვლევ/კონცეფტუალური განვითარების არეალის საზღვარი |  | სახელმწიფო |  | სააქციო საზოგადოება |
|  | გრგ-ს საზღვარი |  | თელავის მუნიციპალიტეტი |  | კერძო პირი/ები |
|  | შპს |  | თვითმმართველი თელავის მუნიციპალიტეტი |  | ამხანაგობა |



| ნაკვეთის # | ს/კ | ფართობი | საკუთრების ტიპი | გზავრებით გათვალისწინებული ფუნქციური ზონა | ნაკვეთის სამმართველო სტატუსი გზავრებისთან მიმართებაში | არსებული კ1 | არსებული კ2 | არსებული კ3 |
|------------|---|--------------|-----------------|---|---|-------------|-------------|-------------|
| 1 | 53.20.41.027 | 1740 | ჯვრძო | სსზ-3 | | 0.5 | 2.3 | 0.1 |
| 2 | 53.20.37.406 | 600 | მუნიციპალური | სსზ-3 | | 0 | 0 | 0 |
| 3 | 53.20.41.379 | 498 | მუნიციპალური | სსზ-3 | | 0 | 0 | 0.7 |
| 4 | 53.20.41.025 | 149 | მუნიციპალური | სსზ-3 | შეუსაბამო | 1 | 1.7 | 0 |
| 5 | 53.20.41.063 | 625 | ჯვრძო | სსზ-3 | | 0.4 | 0.9 | 0.3 |
| 6 | 53.20.41.028 | 5690 | სახელმწიფო | სსზ-3 | | 0.9 | 1.0 | 0 |
| 7 | 53.20.41.095 | 314 | მუნიციპალური | სსზ-3 | | 0.6 | 1.8 | 0.2 |
| 8 | 53.20.41.020 | 452 | ჯვრძო | სსზ-3 | | 0.5 | 0.9 | 0.2 |
| 9 | 53.20.41.187 | 128 | ჯვრძო | სსზ-3 | შეუსაბამო | 0 | 0 | 1.0 |
| 10 | 53.20.41.187 | 212 | ჯვრძო | სსზ-3 | შეუსაბამო | 0.3 | 0.3 | 0.5 |
| 11 | 53.20.41.321 | 7856 | მუნიციპალური | რზ-2; ტზ | | 0.3 | 0 | 0.4 |
| 12 | 53.20.41.322 | 119 | მუნიციპალური | რზ-2 | | 0.3 | 0.3 | 0.5 |
| 13 | 53.20.41.207 | 9657 | მუნიციპალური | რზ-3 | | 0.1 | 0.1 | 0.2 |
| 14 | 53.20.41.165 | 82 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 0.7 | 0.7 | 0.2 |
| 15 | 53.20.41.048 | 63 | სახელმწიფო | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 1.0 | 0.0 |
| 16 | 53.20.41.229 | 73 | მუნიციპალური | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 1.0 | 0.0 |
| 17 | 53.20.41.050 | 488 | მუნიციპალური | რზ-2 | | 0.8 | 1.5 | 0 |
| 18 | 53.20.41.111 | 699 | მუნიციპალური | რზ-2 | | 0 | 0 | 1.0 |
| 19 | 53.20.41.081 | 1464 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.4 | 0.6 | 0.4 |
| 20 | 53.20.41.210 | 1167 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.9 | 0.3 |
| 21 | 53.20.41.366 | 340 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.8 | 0.3 |
| 22 | 53.20.41.209 | 404 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.4 | 0.8 | 0.3 |
| 23 | 53.20.41.155 | 421 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.9 | 0.3 |
| 24 | 53.20.41.177 | 635 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.4 | 0.7 | 0.4 |
| 25 | 53.20.41.070 | 716 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.9 | 0.3 |
| 26 | 53.20.41.364 | 857 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 1.0 | 0.3 |
| 27 | 53.20.41.238 | 64 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 0.7 | 0.7 | 0.1 |
| 28 | 53.20.41.127 | 404 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.6 | 1.0 | 0.3 |
| 29 | 53.20.41.108 | 986 | მუნიციპალური | სსზ-1 | | 0.6 | 0.6 | 0.1 |
| 30 | 53.20.41.344 | 713 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.5 | 0.4 |
| 31 | 53.20.41.186 | 300 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 0.3 | 0.3 | 0.4 |
| 32 | 53.20.41.184 | 260 | მუნიციპალური | სსზ-1 | შეუსაბამო | 0 | 0 | 0.8 |
| 33 | 53.20.41.057 | 45 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 3.0 | 0 |
| 34 | 53.20.41.056 | 45 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 1.0 | 0 |
| 35 | 53.20.41.347 | 284 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 1.0 | 0 |
| 36 | 53.20.41.349 | 104 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 0.3 | 0.3 | 0.7 |
| 37 | 53.20.41.346 | 13 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 1.0 | 1.0 | 0 |
| 38 | 53.20.41.348 | 33 | ჯვრძო | სსზ-1 | შეუსაბამო | 0.2 | 0.2 | 0 |
| 39 | 53.20.41.222 | 810 | ჯვრძო | სსზ-1 | | 0.5 | 0.9 | 0.3 |
| 40 | 53.20.42.413 | 1373 | სახელმწიფო | სსზ-3 | | 0.6 | 1.6 | 0.1 |
| 41 | 53.20.42.109 | 391 | უცნობი | სსზ-3 | შეუსაბამო | | | |
| 42 | 53.20.42.412 | 88 | ჯვრძო | სსზ-3 | შეუსაბამო | | | |
| 43 | 53.20.37.445 | 2287 | მუნიციპალური | ტზ-1 | | 0 | 0 | 0 |
| | დაურეგისტრირებული ტერიტორია | 6648 | | | | | | |
| | მუნიციპალური ტერიტორია, რომლის ნაწილი შედის გრგ-ს არეალში | 9490 | | | | | | |
| | ჯამი | 59787 | | | | | | |

1/43 სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი
 გრგ-ს არეალში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთების/ტერიტორიების მონაცემები

-
-
-
-
-
-
- გრგ-ს საზღვარი
- არსებული რეგისტრირებული ნაკვეთები
- თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრება
- სახელმწიფო საკუთრება
- კერძო საკუთრება
- დაურეგისტრირებული ტერიტორია




შენიშვნა: არსებული მდგომარეობით, დარეგისტრირებული ნაკვეთების კონტურები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან, ასევე არის შეუსაბამო ნაკვეთები და დაურეგისტრირებელი ტერიტორიები. გრგ-ს პროექტით წარმოდგენილია ნაკვეთების გადანაწილების საპროექტო წინადადება ისე, რომ სამომავლოდ მათი სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში, მოხდეს მათი კორექტირება და შესაბამისობაში მოყვანა ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან. ასევე, ვინაიდან ეს არეალი წარმოადგენს ისტორიულ ცენტრს უკვე არსებული განაშენიანებით, რიგ შემთხვევაში ნაკვეთების საზღვრების კორექტირება ფართობის უცვლელად ვერ ხერხდება მასზე განთავსებული შენობების გამო და წარმოდგენილ სქემაში მოცემულია ცვლილებები დაურეგისტრირებელი ტერიტორიების ხარჯზე ისე, რომ არსებული შენობები მოექცეს ნაკვეთის საზღვრებში და არ მოხდეს გადაცდენები.

| ნაკვეთის # | სექტორის # | ფართობი | ფუნქციური ზონა |
|---|------------|---------|----------------|
| 1 | 1 | 1740 | სსზ-3 |
| 2 | | 600 | სსზ-3 |
| 3 | | 979 | სსზ-3 |
| 4 | | 625 | სსზ-3 |
| 5 | | 385 | სსზ-3 |
| 6 | | 5690 | სსზ-3 |
| 7 | | 1491 | ტზ-1 |
| 8 | | 314 | სსზ-3 |
| 9 | | 2480 | სსზ-3 |
| 10 | 2 | 10147 | რზ-3 |
| 11 | 3 | 5310 | რზ-1 |
| 12 | | 4808 | რზ-3 |
| 13 | 4 | 1475 | სსზ-1 |
| 14 | | 355 | ტზ-1 |
| 15 | | 1167 | სსზ-1 |
| 16 | | 311 | სსზ-1 |
| 17 | | 340 | სსზ-1 |
| 18 | | 404 | სსზ-1 |
| 19 | | 376 | სსზ-1 |
| 20 | | 441 | სსზ-1 |
| 21 | | 600 | სსზ-1 |
| 22 | | 754 | სსზ-1 |
| 23 | 876 | სსზ-1 | |
| 24 | 100 | სსზ-1 | |
| 25 | 436 | სსზ-1 | |
| 26 | 986 | სსზ-1 | |
| 27 | 773 | სსზ-1 | |
| 28 | 450 | სსზ-1 | |
| 29 | 810 | სსზ-1 | |
| 30 | 5 | 1373 | სსზ-3 |
| 31 | | 530 | სსზ-3 |
| 32 | 6 | 2912 | ტზ-1 |
| მუნიციპალური ტერიტორია, რომლის ნაწილი შედის გრგ-ს არეალში | | 9749 | ტზ-1 |
| ჯამი | | 59787 | |


1/44 სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი
გრგ-ს საზღვრებში ნაკვეთების გამიჯვნის/გადანაწილების გეგმა

- გრგ-ს საზღვარი
- სექტორის საზღვარი
- სადემონტაჟო შენობა გრგ-ს პროექტით
- არსებული რეგისტრირებული ნაკვეთები
- არსებული შენობა
- მოედანი
- ნაკვეთების გამიჯვნის საპროექტო საზღვარი
- არსებული შენობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი



1/45 სიტუაციური გეგმა/ გრგ-ს არეალი
 საკვლევე არეალის ფუნქციური ზონირების გეგმა

- | | | |
|---|--|---|
| <ul style="list-style-type: none"> საკვლევე/კონცეფტუალური განვითარების არეალის საზღვარი გრგ-ს საზღვარი ■ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 | <ul style="list-style-type: none"> ■ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 ■ სატრანსპორტო ზონა 1 ■ სარეკრეაციო ზონა 1 | <ul style="list-style-type: none"> ■ სარეკრეაციო ზონა 2 ■ სარეკრეაციო ზონა 3 ■ საცხოვრებელი ზონა 3 |
|---|--|---|



| ნაკვეთის # | სქელის # | ფართობი | ფუნქციური ზონა | კ-1 კოეფ. (დადგენილი) | კ-1 კოეფ. (გრგ-თი გათვალისწინებული) | კ-2 კოეფ. (დადგენილი) | კ-2 კოეფ. (გრგ-თი გათვალისწინებული) | კ-3 კოეფ. (დადგენილი) | კ-3 კოეფ. (გრგ-თი გათვალისწინებული) | დასაშვები სახეობა (ძირითადი ჩამონათვალი გრგ-ს მიზნებიდან გამომდინარე) | შენიშვნა მაქს. სიმაღლე/სართულიანობა |
|------------|----------|---------|----------------|-----------------------|-------------------------------------|-----------------------|-------------------------------------|-----------------------|-------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1 | 1 | 1740 | სს'ზ-3 | 0.7 | 0.7 | 2.2 | 2.5 | 0.3 | 0.1 | მრავალფუნქციური შენობა; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; პარკი; ბაღი; სკვერი; ბულვარი; კლუბი; კინოთეატრი; თეატრი; საკონცერტო დარბაზი; უნივერსალური სპორტულ-სამაყურებლო დარბაზი; საქალაქო ბიბლიოთეკა; არქივი; საინფორმაციო ცენტრი; მუზეუმი; საგანმანათლებლო დარბაზი; საცეკვაო დარბაზი; დისკოთეკა; უნივერსალური მღაზაზი; საეკოლო ცენტრი; ბარი; კაფე; | 6 სართ. (არსებული შენობა) |
